# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/286 „30“ ნოემბერი 2016 წ.

# გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**„საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, საშტატო ნუსხისა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

1. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულების, საშტატო ნუსხისა და აპარატის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/206-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს აპარატის დებულებაში (დანართი 1)“ შეტანილ იქნეს ცვლილება და $7^1$ მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „უ“ ქვეპუნქტი:

„უ) უზრუნველყოფს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს „ცხელი ხაზის“ ფუნქციონირებას; ახდენს „ცხელი ხაზითა“ და ელექტრონული ფოსტით შემოსული შეტყობინებების იდენტიფიცირებას და მათზე სათანადო რეაგირებას. ამ მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზებას უწევს შეტყობინებების იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დროულ მიწოდებას.“.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს მიღებისთანავე.

ლევან მურუსიძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი